პატივცემულო კოლეგებო!
ქალბატონებო და ბატონებო!

ყოველი ახალი სასესიო პერიოდის გახსნის დღეს, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, ვალდებული ვართ ანგარიში ჩავაბაროთ კოლეგებს, საზოგადოებას გაწეული მუშაობის შესახებ და იმავდროულად დავსახოთ სამომავლო გეგმებიც. განვლილი და ახალი სასესიო პერიოდები იყო და არის გამორჩეული იმით, რომ ემთხვევა აფხაზეთის ტრაგედიის 30-ე წლისთავს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბოლო წლების განმავლობაში, მათ შორის 2023 წელს მუშაობა გვიხდებოდა და გვიხდება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე განვითარებული მნიშვნელოვანი ისტორიული პროცესებისა და მოვლენების პირობებში.

პირველ რიგში, მსურს მოგახსენოთ, რომ საქართველო ძალიან ახლოსაა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვებასთან. ამით დაჩქარდება ჩვენი ქვეყნის დაბრუნება მშობლიურ წიაღში - იმ წიაღში, სადაც ათასწლეულების წინ იშვა ქართული ცივილიზაცია, როგორც ორგანული ნაწილი ევროპული ცივილიზაციისა. ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე იმ ფაქტსაც გაუსვამდი ხაზს, რომ საქართველოს შეტანილი აქვს თავისი არც თუ ისე მცირე წვლილი ევროპული ცივილიზაციის განვითარებაში და განსაკუთრებით მის დაცვაში. აქ არ შემიძლია არ გავიხსენო უდიდესი მამულიშვილის, აფხაზეთის მკვიდრის, საქართველოს ეროვნული გმირის, რომლის პორტრეტიც ჩვენს სხდომათა დარბაზს ამშვენებს - წმინდა აღმსარებელი ამბროსის (ხელაია) მიერ კონკრეტული მაგალითების მოხმობით 1917 წელს ნათქვამი სიტყვები ევროპული კულტურის წინაშე საქართველოს „სისხლისმიერი“ ანუ სამხედრო და „მელნისმიერი“ ანუ ინტელექტუალური დამსახურებების, ევროპული კულტურის საგანძურში „სიბრძნის მელნით“ შეტანილი წვლილის შესახებ. დიახ, საქართველომ არა მხოლოდ ევროკავშირის საბჭოს 12-პუნქტიანი დავალების ძირითადად შესრულების, არამედ ევროპის წინაშე ისტორიული დამსახურებების გამოც უნდა მიიღოს კანდიდატის სტატუსი. ნამდვილად გვაქვს ასეთი დამსახურებები იმ შორეულ წარსულში, როდესაც ევროკავშირში დღეს შემავალი რამდენიმე სახელმწიფო არც კი არსებობდა. ჟამთა ცვლამ და ბედის უკუღმართობამ ჩვენი ქვეყანა საუკუნეების წინ მოსწყვიტა ევროპას, თუმცა ის მუდმივად ცდილობდა და დღესაც ცდილობს საკუთარ სახლში დაბრუნებას.

ევროკავშირის საბჭოს მხრიდან ობიექტური გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, რომელიც მიმდინარე წლის ბოლომდე გახდება ცნობილი, საქართველოს გაეხსნება უფრო ფართო გზა ევროატლანტიკური სივრცისკენ, შესაბამისად, უსაფრთხო

გარემოში, უსაფრთხო პირობებში განვითარებისკენ, ეკონომიკური და დემოკრატიული პროგრესისკენ. ჩვენი დღის წესრიგი და ასევე სტატუსი არ მოითხოვს ამ თემაზე უფრო ვრცლად საუბარს, მაგრამ როგორც საქართველოს მოქალაქეებს და დევნილებს აფხაზეთიდან სრული უფლება გვაქვს თხოვნით მივმართოთ ევროკავშირის საბჭოს, მხარი დაუჭიროს საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას. ასეთი გადაწყვეტილების მიღება, ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, ხელს შეუწყობდა, დააჩქარებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი მეთოდებით აღდგენის მეტისმეტად გაჭიანურებულ პროცესსაც; ასეთია ასეულ ათასობით დევნილის, ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეების დიდი ნაწილის სურვილიც და მოლოდინიც.

საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგის უპირველეს თემად, კაცობრიობის წინაშე მდგარ მთავარ გამოწვევად კვლავაც რჩება რუსეთის დანაშაულებრივი ომი უკრაინის წინააღმდეგ, რომელიც უკვე 578-ე დღეა მიმდინარეობს. წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია - რუსეთი ვითომ აღიარებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობას“, საკუთარი სამხედრო ძალებით იცავს ამ კვაზირესპუბლიკების „სუვერენიტეტს“, მაგრამ არ აღიარებს 1945 წელს გაეროს დამფუძნებელი 51 სახელმწიფოდან ერთ-ერთს - უკრაინას, არ აღიარებს 50 მილიონიანი უკრაინელი ხალხის არსებობასაც კი. ასეთია თანამედროვე რუსული ფაშისტური იდეოლოგია, რომელიც საფუძვლად უდევს მიმდინარე სისხლისმღვრელ და დამანგრეველ ომს. საყოველთაო მოსაზრებით, ამ ომის შედეგებზე იქნება დამოკიდებული მსოფლიოს ხვალინდელი დღე, ამაზე იქნება დამოკიდებული საქართველოს მომავალიც. რუსეთის კრახი დაპყრობით ომში უკრაინის წინააღმდეგ გახდება საერთაშორისო სამართლის დღემდე ფეხქვეშ გათელილ ნორმებზე დაფუძნებული ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების, უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის ჩამოყალიბების წინაპირობა. ოკუპირებულ აფხაზეთშიც კი მშვენივრად იციან, რომ ეს ყოველივე სათავეს დაუდებს აფხაზეთის დეოკუპაციის პროცესსაც. აქედან გამომდინარე, სრულიად საქართველოს, თითოეული ჩვენთაგანის ინტერესებშია უკრაინის გამარჯვება, რაც გულისხმობს მისი ტერიტორიების ოკუპანტებისაგან განთავისუფლებას 1991 წლის საზღვრებში. უმაღლესი საბჭოს ცალსახა პოზიცია აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, როგორც ვიცით, მკაფიოდ არის დაფიქსირებული 2022 წლის 8 აპრილის დადგენილებაში, ასევე სხვა ოფიციალურ განცხადებებსა თუ გამოსვლებში.

არნახული გმირობისა და დიდძალი მსხვერპლის ფასად, რა თქმა უნდა, კოლექტიური დასავლეთის უწყვეტი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერით უკრაინა ახერხებს აგრესორის მოგერიებას, თუმცა წინასწარ, ცხადია, არ ვიცით როდის და რა შედეგით დასრულდება რუსული აგრესია. როგორც დაინტერესებული პირები,

როგორც უკრაინის ჭეშმარიტი მხარდამჭერები, ყოველდღიურ რეჟიმში ვადევნებთ თვალყურს ომის მიმდინარეობას და მის გარშემო განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს. უკრაინელ და დასავლელ ექსპერტთა აზრით, უკრაინის გამარჯვებით ომის დასრულების ვადები დამოკიდებული იქნება დასავლეთიდან საჭირო შეიარაღების საჭირო დროს და საჭირო ოდენობით მიწოდებაზე, რაც არ ხდება. რატომაც არ ხდება, ამაზე არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები, რომელთა განხილვა და სრულფასოვანი ანალიზი სცილდება ჩვენს კომპეტენციას და დღევანდელი მიმართვის მიზანს. ყველა შემთხვევაში, დასავლელი მოკავშირეების პრაგმატული მოსაზრებებით ნაკარნახევი დოზირებული სამხედრო დახმარების პირობებში საომარი მოქმედებების მიმდინარეობამ, მასთან დაკავშირებულმა უზარმაზარმა მსხვერპლმა და არნახულმა ნგრევამ, რუსეთის მხრიდან ბირთვული იარაღის წარამარა ჟღარუნმა კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაგვანახა, რამდენად სწორი იყო და არის საქართველოს მთავრობის ფრთხილი, მაგრამ პრინციპული პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკა გულისხმობს უკრაინის სრულ პოლიტიკურ, დიპლომატიურ, ჰუმანიტარულ მხარდაჭერას, მაგრამ გამორიცხავს რაიმე ფორმით კონფლიქტში ჩართვას.

ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე მიმდინარე მოვლენები ყოველთვის ზემოქმედებენ ჩვენს საქმიანობაზე. მაგრამ გასული და მიმდინარე სასესიო პერიოდები მარტო ამით არ ყოფილან გამორჩეულები. მოგეხსენებათ, 2023 წლის 26 აგვისტოს რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ვითომ აღიარებიდან, სინამდვილეში მათი ოკუპაცია-ანექსიის გაფორმებიდან 15 წელი შესრულდა; წინ გველოდება სოხუმისა და მთლიანად აფხაზეთის დაცემის 30-ე წლისთავი. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ენგურს გაღმა მოკალათებული სეპარატისტები და ოკუპანტები გამალებით ემზადებიან, რათა საერთაშორისო მასშტაბით აღნიშნონ „საიუბილეო“ თარიღი. ამ მიზნით შექმნილია ე. წ. სახელმწიფო კომისია დე-ფაქტო ვიცე-პრეზიდენტის თავმჯდომარეობით. აფხაზეთში და მის ფარგლებს გარეთ იგეგმება ორმოცამდე ხმაურიანი ღონისძიებების ჩატარება, რისთვისაც ბიუჯეტში 150 მლნ რუბლია გათვალისწინებული.

ჩვენ უკვე ვნახეთ „აღიარების“ მე-15 წლითავისადმი მიძღვნილი რუსულ-აფხაზური ფორუმები, მრგვალი მაგიდები, ფესტივალები, ფილმები, ინტერვიუები, შეხვედრები, „საზეიმო“ სხდომები და ა. შ. ყველა ამ ღონისძიებების არსი და ნამდვილი ფასი ყველაზე კარგად წარმოაჩინა დიმიტრი მედვედევმა 2023 წლის 23 აგვისტოს გაკეთებული განცხადებით აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის რუსეთთან შეერთების შესახებ. აღნიშნული განცხადება კიდევ ერთხელ ნათლად მიუთითებს, რომ 15 წლის წინ ბოძებული „დამოუკიდებლობა“ სხვა არაფერი, იყო თუ არა ანექსიის,

თვითმყოფადობის დაკარგვის, ეროვნული გადაშენებისა და გაქრობის წინაპირობა. ამ ჭეშმარიტების გადაფარვა ვერ შეძლო იმავე დ. მედვედევის 25 აგვისტოს შეხვედრამ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მმართველებთან და ფარისევლურმა მილოცვებმა მოსკოვიდან. დიდად არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ XIX საუკუნის 60-იან და 70-იან წლებში რუსეთის მიერ აფხაზებისთვის მოწყობილ მუჰაჯირობას და XXI საუკუნის დასაწყისში იმავე რუსეთის მიერ აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარებას ერთი საერთო მიზანი ჰქონდა და აქვს - ამ შავიზღვისპირა რეგიონის სრული ანექსია, დემოგრაფიული ექსპანსია და, რაც მთავარია, ქართული სივრცისაგან მოწყვეტა. აქეთკენაა მიმართული 2008 წლის 26 აგვისტოს უკანონო აქტიც და შემდგომ პერიოდში მოსკოვსა და სოხუმს შორის გაფორმებული ასევე უკანონო შეთანხმებები თუ პროგრამები. ე. წ. დამოუკიდებლობა გახდა მცოცავი ანექსიის დაჩქარების წინაპირობა, რაც გადაშენებით ემუქრება აფხაზ ხალხს. ფრიად სამწუხაროა, რომ „დამოუკიდებლობის“ შირმის ქვეშ სოხუმში დიდი ზარ-ზეიმით და ანტიქართული პათოსით აღინიშნა 26 აგვისტო - სინამდვილეში აფხაზეთის რუსული ოკუპაციისა და ანექსიის დღე. ეს არის ქართველთა და აფხაზთა საერთო ტრაგედია. რას იზამ, არც თუ ისე შორეულ წარსულში ჩვენც, ზარზეიმით აღვნიშნავდით 25 თებერვალს. აფხაზი ხალხის ნაწილი შეუძლებელია ვერ ხედავდეს ამ ყალბი ზეიმით შენიღბულ საფრთხეს, რომელიც მოახლოებულია. წარსულს ბარდება ის ხანა, როდესაც რუსეთი ძალადობის გზით, ეთნიკური წმენდა-გენოციდის მოწყობითა და დემოგრაფიული ექსპანსიით ახერხებდა ახალი ტერიტორიების დაპყრობას.

დიდი ალბათობით, 27-30 სექტემბერსაც სეპარატისტები და მათი პატრონები მოსყიდულ უცხოურ აგენტურასთან ერთად შეეცდებიან აფხაზებისთვის თვალში ნაცრის შეყრას, ომთან დაკავშირებული მოვლენებისა და ფაქტების მრუდე სარკეში წარმოჩენას, ოკუპაციისა და მცოცავი ანექსიის პოლიტიკის აფხაზეთის „დამოუკიდებლობაზე“ და „კეთილდღეობაზე“ ზრუნვად გასაღებას. ნებისმიერ შემთხვევაში, ვალდებული ვართ დავაკვირდეთ ე. წ. საიუბილეო ღონისძიებების მიმდინარეობას, ცალკეული პერსონაჟების გამოსვლებს აღნიშნულ ღონისძიებებზე. ამ გამოსვლების დიდი ნაწილი გახლავთ აღიარებითი ჩვენება იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებოდნენ სეპარატისტები ომისთვის საქართველოს წინააღმდეგ 1992 წლამდე დიდი ხნით ადრე, რაც აბათილებს სხვადასხვა მითებს ქართველთა თავდასხმისა და რაღაც ავი ზრახვების შესახებ. ჩვენი ერთ-ერთი ამოცანა გახლავთ ამ „ჩვენებების“ შეკრება და გამოცემა შესაბამისი შეფასებით.

ერთია რა დაგეგმეს და რა მოიმოქმედეს სეპარატისტებმა ოკუპანტებთან ერთად ან რას მოიმოქმედებენ „საიუბილეო“ დღეებში. მთავარია ჩვენ რა გავაკეთეთ და რის გაკეთებას ვაპირებთ. მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ შარშან, 2022 წლის 13 აგვისტოს,

უმაღლესმა საბჭომ სოხუმის უნივერსიტეტთან ერთად ჩაატარა პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „ომი აფხაზეთში - 30 წელი“. მოხსენება წარმოადგინა პროფესორმა დაზმირ ჯოჯუამ. ძირითადმა მოხსენებამ, ასევე ჩვენი კოლეგების ბ-ნ რუდიკ ცატავას, ანზორ წოწონავას და მოწვეული სტუმრების - დავით გულუას და სხვათა გამოსვლებმა დამსწრე საზოგადოების, ძირათადად აკადემიური წრეების წარმომადგენლებისა და ვეტერანების მოწონება დაიმსახურა. განვლილ სასესიო პერიოდში გრძელდებოდა მუშაობა ამ მიმართულებით წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. 2023 წლის 17 მარტს სოხუმის უნივერსიტეტში ერთობლივად ჩავატარეთ სამეცნიერო კონფერენცია, სადაც პროფესორმა კახა კვაშილავამ წარმოადგინა მოხსენება: „1993 წლის მარტის გმირული ეპოპეა - ხედვა გუმისთის მეორე სანაპიროდან“. 27 ივლისს ისევ და ისევ სოხუმის უნივერსიტეტთან ერთად ჩავატარეთ კიდევ ერთი სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც სოჭის შეთანხმების 30-ე წლისთავს მიეძღვნა. აღნიშნულ შეთანხმებას ობიექტური შეფასება მისცეს მთავარმა მომხსენებელმა დაზმირ ჯოჯუამ, აფხაზეთის ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა დავით გულუამ და სხვა გამომსვლელებმა, სამართლიანად უწოდეს რა მას სოხუმის აღების რუსული გეგმის შემადგენელი ნაწილი. აფხაზეთის ე. წ. აღიარების მე-15 წლისთავს უმაღლესი საბჭო გამოეხმაურა სპეციალური განცხადებით. ერთ კვირაში, 12-13 სექტემბერს, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან ერთად ვატარებთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას. 15 სექტემბერს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ჰანოვერში გაიმართება აფხაზეთის დაცემის 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელზეც მოგვივიდა მიწვევა საგარეო საქმეთა სამინისტროდან. 29 სექტემბერს ვგეგმავთ აფხაზეთის დაცემის 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გაფართობული პლენარული სხდომის ჩატარებას, სადაც, იმედი მაქვს, მივიღებთ დადგენილებას აფხაზეთში როგორც ომის, ისე მისი შედეგების სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასებით.

განვლილ სასესიო პერიოდში თავმჯდომარის კაბინეტის უფროსის ბ-ნ ნოდარ თოფურიძის აქტური მონაწილეობით მომზადდა 100-ზე მეტი გვერდისგან შემდგარი მასალა აფხაზეთში ომისა და მისი შედეგების შეფასების კუთხით საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წლების განმავლობაში გაკეთებული შეფასებების, დასკვნების, ასევე საერთაშორისო გამოცდილების შესახებ. ეს ვრცელი მასალა გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტს, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროს, თხოვნით და წინადადებით იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებში კვლავ დაისვას საკითხი აფხაზეთში ომისა და მისი შედეგების ახლებურად შეფასების შესახებ. საინტერესო ღონისძიებები აქვთ დაგეგმილი ცალკეულ კომიტეტებსაც, მაგალითად, ადამიანის უფლებათა დაცვისა და აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხთა კომიტეტს; საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და

კულტურის კომიტეტის ინიციატივით ქ. პრაღაში განახლდება არზაყან ემუხვარის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი, რაც პირადად ნუგზარ მგალობლიშვილისა და ზურაბ ჯგუბურიას დამსახურება იქნება. აფხაზეთის ტრაგედიის 30-ე წლისთავს მიეძღვნა არაერთი საინტერესო გადაცემა ბ-ნ მურმან კვარაცხელიას, უკვე შეიძლება ითქვას, პოპულარულ საავტორო სატელევიზიო გადაცემაში.

ბატონი ვახტანგ ყოლბაია ბევრს აკეთებს ჟიული შარტავას ხსოვნის უკვდავსაყოფად, მისი გმირობისადმი სათანადო პატივის მისაგებად. მოგეგსენებათ, ამა წლის 27 სექტემბერს ჟიული შარტავას დღუპვიდანაც 30 წელი შესრულდება. ბ-ნ ვახტანგს, რომელიც ჟიული შარტავას საზოგადოების თავმჯდომარეც გახლავთ, შემუშავებული აქვს ღონისძიებათა გეგმა, რომელიც პრეზიდიუმის უახლეს სხდომაზე დამტკიცდება და, რაც მთავარია, მერე უნდა განვახორციელოთ. გეგმის დამტკიცება, ალბათ, ხვალ მოხდება.

უმაღლესი საბჭოს, მისი კომიტეტების მიერ ჩატარებული და ჯერ კიდევ ჩასატარებელი ღონისძიებების, მომზადებული მასალების მიზანი და დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვე რეალიების გათვალისწინებით კიდევ ერთხელ გავიაზროთ ომის მიზეზები და მისი შედეგები; კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მივაღწიოთ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან აფხაზეთში ომისა და მისი შედეგების ობიექტურ შეფასებას, რასაც ქართულმა სახელმწიფომ, უზარმაზარი ძალისხმევის მიუხედავად, თავის დროზე ვერ მიაღწია. ჩატარებულ კონფერენციებზე გამოთქმული დასაბუთებული მოსაზრებები, დაგროვილი მასალა, მათ შორის მომავალი საერთაშორისო კონფერენციის უკვე ცნობილი მასალები საშუალებას იძლევა დამტკიცებულად ჩაითვალოს, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის დიდი ხნის განმავლობაში არსებული პოლიტიკური დაპირისპირება თავისთავად არ შეიცავდა ამ დაპირისპირების სამხედრო კონფლიქტში გადაზრდის საფრთხეს;

-ასეთი საფრთხე წარმოშვა მხოლოდ საქართველოს საშინაო საქმეებში, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში რუსეთის უხეშმა ჩარევამ;

-აიარაღებდა და ამასთანავე აკონტროლებდა რა ორივე მხარეს, რუსეთმა მიზანმიმართულად მოაწყო ომის პროვოცირება;

-სარკინიგზო მაგისტრალების დაცვის მიზნით ქართული სამხედრო ნაწილების აფხაზეთში შეყვანა, რაც შეთანხმებული იყო რუსეთთან და ავტონომიური რესპუბლიკის მაშინდელ ხელმძღვანელთან, სეპარატისტთა მიერ ომის საბაბად იქნა გამოყენებული, თუმცა ეს არ უხსნის ქართულ მხარეს თავის წილ პასუხისმგებლობას;

-აფხაზეთში ომის პირველ ეტაპზე რუსეთი თითქოს მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ იმავდროულად თავისი ჰიბრიდული მოქმედებებით ზურგს უმაგრებდა სეპარატისტებს;

-ომის მეორე ეტაპზე, რომელიც პირობითად გაგრის ტრაგედიით იწყება, რუსეთის შეიარაღებული ძალები უშუალოდ მონაწილეობდნენ და გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ საომარი მოქმედებების დაგეგმვასა და წარმოებაში;

-საომარი მოქმედებების მიმდინარეობისას რუსეთის შუამავლობით ხელმოწერილი შეთანხმებები ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ფაქტობრივად წარმოადგენდნენ აფხაზეთის ოკუპაციის რუსული გეგმების შემადგენელ ნაწილს, ამა თუ იმ მიმართულებით ახალი შეტევითი ოპერაციების მომზადებისა და განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის საშუალებას;

-ომის მეორე ეტაპზე გამოაშკარავდა რუსეთის ნამდვილი მიზნები - აფხაზეთის მოწყვეტა საქართველოსაგან, მისი ოკუპაცია და ნიადაგის შემზადება შემდგომი ანექსიისთვის;

-ოკუპაცია-ანექსიის მიზნის შესაბამისად, რუსეთი სეპარატისტებთან ერთად მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე 1992-1993 წლების ომის დასრულებამდეც ახორციელებდნენ ქართული მოსახლეობის ეთნიკურ წმენდა-გენოციდს;

-ომის დასრულებას შედეგად მოჰყვა რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაცია, ქართული მოსახლეობის გენოციდი და იძულებითი დეპორტაცია, რაც, რომის სტატუტის მეშვიდე მუხლის მიხედვით, სხვა არაფერია, თუ არა დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ;

-საერთაშორისო არენაზე მოკავშირეთა გარეშე, დამპყრობელთან პირისპირ დარჩენილი საქართველო იძულებით დაეთანხმა ოკუპანტი სახელმწიფოსთვის მშვიდობისმყოფელის სტატუსის მინიჭებას;
-რუსული ე. წ. სამშვიდობო მისია, რომელიც, ფორმალურად დსთ-ს ეგიდით ხორციელდებოდა, მიზნად ისახავდა ომის შედეგების - ეთნოწმენდა-გენოციდის, ფაქტობრივი ოკუპაცია-ანექსიის - დაკანონებას, სეპარატისტული რეჟიმის დაცვას, აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის მესაზღვრის როლის შესრულებას, საბოლოო ჯამში - აფხაზეთის მოწყვეტას საქართველოსაგან;

-აფხაზეთის ომის, ასევე ე. წ. სამშვიდობო მისიის შესრულებისას დასახული მიზნების რეალიზება და გაფორმება მოხდა 2008 წლის აგვისტოში; აფხაზეთის ე. წ. დამოუკიდებლობის აღიარებით რუსეთმა შექმნა ავტონომიური რესპუბლიკის ანექსიის სამართლებრივი საფუძველი;

-თანამედროვე ეტაპზე დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს აფხაზეთის მცოცავი ანექსიის პროცესი, რაზეც მიუთითებენ მოსკოვსა და სოხუმს შორის გაფორმებული მრავალრიცხოვანი „შეთანხმებები“.

მოკლედ, თეზისების სახით ასე შეიძლება წარმოვაჩინოთ აფხაზეთის ომთან და მის შედეგებთან დაკავშირებული ხედვა, რომელიც სექტემბრის ბოლომდე უნდა განვიხილოთ. როგორც უკვე აღინიშნა, ქართულმა სახელმწიფომ ყველაფერი გააკეთა, მაგრამ ვერ მიაღწია საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან აფხაზეთში ომის შედეგების ობიექტურ შეფასებას; ვერ მიაღწია იმიტომ, რომ კოლექტიური დასავლეთი აფხაზეთის ომის პროვოცირებაში, ქართული მოსახლეობის ეთნოწმენდა - გენოციდში დამნაშავე რუსეთის ფედერაციას იმ პერიოდში დემოკრატიულ სახელმწიფოდ და ლამის მოკავშირედაც კი განიხილავდა. დღეს სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული, თუ არ გვინდა დავუშვათ სერიოზული შეცდომა. როდესაც აფხაზეთში ომის შედეგების ობიექტური შეფასების კუთხით ქართული მხარე პასიურობს, სეპარატისტები აპირებენ მოგონილი მითის - ქართველების მიერ აფხაზი ხალხის გენოციდის თემის წამოწევას. ეს საკითხი მათ გათვალისწინებული აქვთ ე. წ. გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების გეგმაში. ამას ჰქვია გაღმა შედავების პოლიტიკა. საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან აფხაზეთის 1992-1993 წლების ომისა და მისი შედეგების ობიექტური შეფასება ნამდვილად იქნება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი დეოკუპაციის გზაზე, რაც თავის მხრივ, ხელს კი არ შეუშლის, პირიქით, ხელს შეუწყობს შერიგებისა და ნდობის აღდგენის სახელმწიფო პოლიტიკის უფრო აქტიურად და მიზანმიმართულად განხორციელებას.

ორგანიზაციული მუშაობის თვალსაზრისით საგაზაფხულო სასესიო პერიოდი საკმაოდ წარმატებული გახლდათ. სულ ჩატარდა 24 პლენარული სხდომა, სადაც 57 საკითხი იქნა განხილული. იმავე პერიოდში გამართულმა პრეზიდიუმის 32 სხდომამ კი 98 საკითხი განიხილა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ძირითადი ფუნქციის - საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელებას. საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტს წარედგინა სამი კანონპროექტი, კერძოდ, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ (15 მარტი); „საქართველოს ოკუპირებული

ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ (15 მარტი); „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (22 მარტი). პირველი ორი კანონპროექტი, რომელიც ერთიან პაკეტს წარმოადგენს, მთელ რიგ დაინტერესებულ უწყებებთან ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად მომზადდა თავმჯდომარის კაბინეტისა და იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის ერთობლივი ძალისხმევით; მესამე კანონპროექტის ავტორი გახლავთ აფხაზეთის მთავრობა, რომელიც საკანონმდებლო ინიციატივების თვალსაზრისითაც საკმაო აქტიურობას იჩენს და ჩვენ ამ აქტიურობას მხოლოდ მივესალმებით.

აღნიშნული კანონპროექტები პარლამენტის მიერ განსახილველად მიღებულია, მაგრამ კომიტეტებში მათი განხილვა ჯერ არ დაწყებულა, რასაც ყურადღება უნდა მიაქციონ იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა თავმჯდომარის კაბინეტთან ერთად. საქართველოს პარლამენტში ჯერ კიდევ 2022 წლის 16 ნოემბერს საკანონმდებლო ინიციატივის წესით იყო წარდგენილი აფხაზეთის მთავრობის ავტორობით მომზადებული კანონპროექტი „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შესახებ“. პარლამენტში მომხსენებლად ჩვენგან დანიშნულია ბ-ნი ვახტანგ ყოლბაია, რომლის აქტიური მონაწილეობით კანონპროექტმა გაიარა მოსმენები პარლამენტის სამ კომიტეტში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მოსმენები გაგრძელდება.

განვლილ სასესიო პერიოდში ცვლილებები განხორციელდა აფხაზეთის კანონმდებლობაშიც. მიღებულია კანონი „ნორმატიულ აქტების შესახებ“ აფხაზეთის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (14 ივნისი). ორჯერ განხორციელდა ცვლილებები აფხაზეთის კანონში 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ (10 მაისი, 9 აგვისტო). იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის ინიციატივით ორჯერ შევიდა ცვლილება ჩვენს რეგლამენტში.
საკანონმდებლო საქმიანობა ახალ სასესიო პერიოდშიც გაგრძელდება. იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი სამთავრობო სტრუქტურებთან ერთად უკვე მუშაობს ძალიან მნიშვნელოვან კანონპროექტზე, რომლის მიზანია ცვლილებების შეტანა საქართველოს კანონში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ.

უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო საქმიანობის შემადგენელი ნაწილია პარლამენტიდან შემოსული საქართველოს კანონპროექტების შესწავლა და დამუშავება, მათზე დასკვნების მომზადება. საგაზაფხულო სასესიო პერიოდში პარლამენტიდან შემოსულია 97 კანონპროექტი. აქედან ნახევარზე მეტი დამუშავებულია იურიდიულ

და საპროცედურო საკითხთა კომიტეტში, მესამედზე ოდნავ ნაკლები მოდის სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა, ჯანდაცვისა და დევნილთა საქმეების კომიტეტზე; დანარჩენი კანონპროექტები განხილულია სხვა კომიტეტების მიერ.

აფხაზეთის კონსტიტუციისა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად, გრძელდება აფხაზეთის მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება. ადრეც და დღესაც მთავრობის საქმიანობაზე კონტროლი წარმოდგენილი გვქონდა და გვაქვს როგორც ხელისუფლების ორ შტოს შორის მუდმივი, აქტიური, შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობა; როგორც ურთიერთ თანადგომა და მხარდაჭერა უკეთესი შედეგის მისაღწევად. მთავრობაზე კონტროლის განხორციელების ერთ-ერთი საუკეთესო ფორმა გახლავთ ინტერპელაციის წესით მთავრობის წევრთა მოსმენები უმაღლეს საბჭოში. გასული სასესიო პერიოდის განმავლობაში უმაღლესმა საბჭომ მოუსმინა ხუთივე მინისტრს. განსაკუთრებული კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ უმაღლეს საბჭოსა და მის კომიტეტებს საქმიანი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ ყველა სამინისტროსთან, განსაკუთრებით ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის, იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროებთან, თუმცა დიდი პრეტენზიები არც სხვა სამინისტროებთან გაგვაჩნია. მოსმენების შემდეგ გამართული დისკუსიები, ვფიქრობთ, იყო სასარგებლო ორივე მხარისთვის. 21 აპრილს მთავრობის თავმჯდომარე ბატონი რუსლან აბაშიძე უმაღლესი საბჭოს წინაშე წარსდგა ყოველწლიური მოხსენებით სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. დისკუსიაში მონაწილე ჩვენი დეპუტატების საერთო მოსაზრებით, მოხსენება იყო საფუძვლიანი და ყოვლისმომცველი. საშემოდგომო სასესიო პერიოდში დაგეგმილია სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ყველა მინისტრის მოსმენა, რაც საშუალებას მოგვცემს კიდევ ერთხელ ღრმად ჩავიხედოთ მთავრობის საქმიანობაში და დავეხმაროთ მას ჩვენს მიერ თავის დროზე დამტკიცებული პროგრამის, მიმდინარე საბიუჯეტო წლის წარმატებით დასრულებაში.

საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის კარგი ფორმაა პრობლემურ საკითხებთან, სამომავლო გეგმებთან, აუცილებელ რეფორმებთან, საკანონმდებლო ინიციატივებთან თუ სხვა მნიშვნელოვან თემებთან დაკავშირებული მუშა თათბირები დეპუტატებისა და მთავრობის წევრების მონაწილეობით. ბ-ნ რუსლან აბაშიძის ინიციატივით, ბოლო ასეთი მუშა თათბირი გაიმართა უმაღლეს საბჭოში ამა წლის 15 აგვისტოს და მიეძღვნა მთავრობის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს, რაც მოითხოვს გარკვეული რეფორმების განხორციელებას, რისთვისაც აუცილებელი იქნება შესაბამისი საკანონმდებლო უზრუნველყოფა. ამჯერად შემოვიფარგლებით მხოლოდ იმ ფაქტის

კონსტატაციით, რომ მუშა თათბირი იყო საკმაოდ ნაყოფიერი და სასარგებლო დეპუტატებისა და მთავრობის წევრებისთვის.

მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების უფლება, კარგად მოგეხსენებათ, მონიჭებული გვაქვს კანონით - კონსტიტუციითა და რეგლამენტით. ჩვენი აზრით, კანონით მონიჭებული უფლების განხორციელება მაშინ არის ეფექტიანი და შედეგის მომტანი, როდესაც ის გამაგრებული იქნება მორალური უფლებითაც. ასეთი უფლება კი მხოლოდ დეპუტატების დაუღალავი შრომით, მაღალი პროფესიონალიზმით, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებით, სახელმწიფოებრივი აზროვნებითა და პასუხისმგებლობით მოიპოვება. დეპუტატთა კორპუსის 90-95 პროცენტს მაინც ეს უფლება დიდი ხნის წინ აქვს მოპოვებული. ამაზე მიუთითებს ბევრი რამ, მათ შორის ანგარიშები, რომლებსაც კომიტეტები წელიწადში ერთხელ აბარებენ უმაღლეს საბჭოს, აბარებენ კოლეგებს. თითოეული დეპუტატი, მთლიანად უმაღლესი საბჭო ანგარიშვალდებულია მხოლოდ ამომრჩევლის წინაშე, რომელსაც ჩვენ აქ წარმოვადგენთ. შესაბამისად, კომიტეტების მიერ ყოველწლიური ანგარიშების წარმოდგენა უმაღლეს საბჭოში იმავდროულად ნიშნავს არა იმდენად ერთმანეთისთვის, არა იმდენად კოლეგებისთვის ამბების მოყოლას, არამედ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის ჩაბარებას, რაც კანონმდებლობით განმტკიცებული ჩვენი მოვალეობა გახლავთ.

სწორედ ამ მოვალეობას ასრულებენ უმაღლესი საბჭოს კომიტეტები, როდესაც წერილობით ანგარიშებს წარადგენენ კოლეგების წინაშე. საგაზაფხულო სასესიო პერიოდში უმაღლესმა საბჭომ მოუსმინა ხუთივე კომიტეტის თავმჯდომარეს 2022 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ. კომიტეტების საქმიანობამ დადებითი შეფასება დაიმსახურა. ამასთანავე, როგორც გახსოვთ, იყო შენიშვნებიც და რეკომენდაციებიც, რომლებიც, იმედი გვაქვს, გათვალისწინებული იქნება მუშაობის პროცესში და აისახება შემდგომ ანგარიშებში.

რადგანაც უმაღლესი საბჭო თავის პლენარულ სხდომებზე დეტალურად იხილავს ყველა კომიტეტის ანგარიშს, მიმართვაში, როგორც წესი, მოკლედ ვეხებით კომიტეტების საქმიანობას. წარმოდგენილი ინფორმაციები ნამდვილად იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ კომიტეტები რეგულარულად ატარებენ სხდომებს, იხილავენ მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს, ამზადებენ დასკვნებს ამა თუ იმ საკითხზე, ატარებენ საინტერესო ღონისძიებებს, იღებენ მოქალაქეებს, პასუხობენ მათ წერილებზე და ა. შ. საგაზაფხულო სასესიო პერიოდში კომიტეტებში სულ შემოვიდა 245 და გაიგზავნა 188 წერილი. საკმაოდ ეფექტიანია აქტივობის ისეთი ფორმა, როგორიცაა კომიტეტების დონეზე სამუშაო შეხვედრების გამართვა აღმასრულებელი

ხელისუფლების წარმომადგენლებთან. მარტო სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა, ჯანდაცვისა და დევნილთა საქმეების კომიტეტმა გასულ სასესიო პერიოდში მოაწყო 9 ასეთი შეხვედრა. არ მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო აღნიშნული კომიტეტის წარმატებულ, შეიძლება ითქვას, სამაგალითო მუშაობაზე დევნილებისა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები თანამემამულეებისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კუთხით, ასევე სხვა მიმართულებითაც.

რა თქმა უნდა, გვაქვს პრობლემებიც, რომელთა შორის გამოვყოფდი ოკუპირებულ ტერიტორიაზე სწავლების ალტერნატიული ფორმის შემოღების აუცილებლობის საკითხს, რომელიც საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომიტეტმა ჯერ კიდევ 2016 წელს დააყენა, მაგრამ ბოლომდე მიყვანილი ჯერაც არ არის. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს განათლებისა და კულტურის სამინისტრო, აფხაზეთის მთავრობა ანუ ყველა, ვისაც ეს საკითხი ეხება შეთანხმებულია, რომ გალის რაიონში უნდა დაინერგოს ალტერნატიული სწავლების ფორმა, რათა წინ აღვუდგეთ ახალგაზრდების დისკრიმინაციისა და ასიმილაციის პოლიტიკას, რომელიც აფხაზეთის ანექსიის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახლავთ. მიუხედავად ამისა, საქმე წინ არ თუ ვერ მიდის. სასურველია და აუცილებელი, რომ უმაღლესი საბჭოს საგარეო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომიტეტი უფრო აქტიურად დაკავდეს ამ საკითხით. აქ ყველაზე მეტად არის საჭირო, ბ-ნო ნუგზარ, თქვენთვის დამახასიათებელი პრინციპულობა, მართალი სიტყვა და, აუცილებლობის შემთხვევაში, ბასრი კალამიც კი.

ჩვენი ერთ-ერთი თხოვნა კომიტეტების მიმართ გახლდათ მათი ყოველდღიური საქმიანობის, სხვადასხვა აქტივობების გაშუქება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე. სამწუხაროდ, თხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ, ძალიან მცირე დოზით არის შესრულებული. გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება - ხუთივე კომიტეტს, ერთად აღებულს, საგაზაფხულო სასესიო პერიოდის განმავლობაში 63 სხდომა აქვს ჩატარებული; აქედან 12 იყო გაერთიანებული. ალბათ, დამეთანხმებით, ერთი სასესიო პერიოდისთვის ეს არის საკმაოდ კარგი მაჩვენებელი. ჩვენ მხოლოდ მივესალმებით ასეთ აქტიურობას. მაგრამ უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე კომიტეტების სხდომების თაობაზე არა 63, როგორც სინამდვილეში უნდა ყოფილიყო, არამედ მხოლოდ 14 ინფორმაციაა განთავსებული, მათ შორის 6 - კომიტეტების გაერთიანებული სხდომების შესახებ. შესაძლოა, ეს კოლეგების ზედმეტი თავმდაბლობით აიხსნება, მაგრამ ასეთი თავმდაბლობა გაუმართლებელია. თქვენ იცით, რომ მავანნი გამადიდებელი შუშით აკვირდებიან უმაღლესი საბჭოს საქმიანობას. თუ ვინმე დაინტერესდება ჩვენი კომიტეტების მუშაობით და გადაათვალიერებს უმაღლესი საბჭოს ვებგვერდს, დაინახავს, რომ ხუთ კომიტეტს 2023 წლის საგაზაფხულო სასესიო

პერიოდში ჩატარებული აქვს არა 63, ე. ი. ძალიან ბევრი, არამედ სულ რაღაც 14, ე. ი. ძალიან ცოტა სხდომა. გამოდის, რომ შექების ნაცვლად, საზოგადოებისგან მივიღებთ დაუმსახურებელ კრიტიკას.

ნუ გვგონია, რომ უმაღლესი საბჭოს კომიტეტების მუშაობა არავის აინტერესებს. იმ 14 ინფორმაციას, სხვათა შორის, ჰყავს 9600-მდე მნახველი. ერთი სიტყვით, პატივი უნდა ვცეთ ჩვენს ამომრჩევლებს და მივაწოდოთ მათ სრულყოფილი ინფორმაცია კომიტეტების მუშაობის შესახებ და არა მხოლოდ სხდომების, არამედ სხვა აქტივობების თაობაზეც. ამიტომ კვლავ ძალაში რჩება ადრინდელი თხოვნა, თუ გნებავთ, მოთხოვნა - უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე რეგულარულად უნდა აისახოს კომიტეტების საქმიანობა. კომიტეტების აპარატების უფროსები ვალდებული არიან ყოველი სხდომის ან აქტივობის შესახებ წერილობით მოამზადონ ინფორმაცია და მიაწოდონ საზოგადოებასთან ურთიერთობის, ანალიტიკისა და პროტოკოლის დეპარტამენტს. ვთხოვ კომიტეტების თავმჯდომარეებს უზრუნველყოთ ამ ვალდებულების ასახვა კომიტეტების აპარატების უფროსების სამუშაო აღწერილობებში. ბ-ნ თამაზ ხუბუას ვთხოვ ამ საკითხს მიაქციოს სათანადო ყურადღება.

უკანასკნელი წლების განმავლობაში უმაღლესი საბჭო განსაკუთრებული მონდომებით ადევნებს თვალყურს და სწავლობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და მის გარშემო მიმდინარე პროცესებს, ახდენს არსებული ვითარების მუდმივ მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს იქ განვითარებულ მოვლენებზე. ასე მაგალითად, საგაზაფხულო სასესიო პერიოდის განმავლობაში უმაღლესმა საბჭომ მიიღო პოლიტიკური და სამართლებრივი დატვირთვის მატარებელი სამი დადგენილება, რომლებიც სწორედ ოკუპირებულ ტერიტორიას ეხება. ეს არის:
-„2022-2025 წწ. აფხაზეთის სოციალურ - ეკონომიკური განვითარების ე. წ. სახელმწიფო პროგრამის რეალიზაციაში ხელშეწყობის თაობაზე რუსეთის ფედერაციასა და ე. წ. აფხაზეთის რესპუბლიკას შორის დადებული შეთანხმებისა და მისი „რატიფიცირების“ შესახებ გადაწყვეტილებების უკანონოდ ცნობის შესახებ“;

-„რუსეთის ფედერაციასა და ე. წ. აფხაზეთის რესპუბლიკას შორის“ორმაგი მოქალაქეობის საკითხების დარეგულირების შესახებ“ შეთანხმებისა და მისი „რატიფიცირების“ შესახებ გადაწყვეტილებების უკანონოდ ცნობის შესახებ“;

-„სოხუმის საერთაშორისო აეროპორტის საქმიანობის აღდგენისა და შემდგომი ექსპლუატაციისთვის რუსეთის იურიდიული პირის მიერ საინვესტიციო პროექტის განხორციელების თაობაზე“ რუსეთის ფედერაციის მთავრობასა აფხაზეთის დეფაქტო

რესპუბლიკის მთავრობას შორის დადებული შეთანხმებისა და მისი „რატიფიცირების“ შესახებ გადაწყვეტილების უკანონოდ ცნობის თაობაზე“.

აღნიშნული და სხვა ე. წ. შეთანხმებების ძირითადი დედააზრი, მთავარი მიზანი, მოგეხსენათ, არის აფხაზეთის ანექსია, რაზეც ხშირად საუბრობენ რუსი ექსპერტები და ოფიციალური პირები.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ვითარებას შეეხებოდა პირველი მაისის პლენარულ სხდომაზე მოსმენილი ბ-ნ მურმან კვარაცხელიას საფუძვლიანი მეცნიერული და პოლიტიკური მოხსენება აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სისტემური ანალიზის თაობაზე. ამ კუთხით მუშაობა სხვა კომიტეტებშიც მიმდინარეობს, რაც აუცილებლად უნდა გაგრძელდეს ახალ სასესიო პერიოდშიც. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბატონ ვახტანგ ყოლბაიას თითქმის მომზადებული აქვს მოხსენება აფხაზეთში არსებული დე-ფაქტო კანონმდებლობის შესახებ, რომელსაც, დიდი ალბათობით, საშემოდგომო სასესიო პერიოდში მოვისმენთ.

უმაღლესი საბჭოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის, ანალიტიკისა და პროტოკოლის დეპარტამენტის ანალიტიკური უზრუნველყოფის განყოფილება აკეთებს ძალიან კარგ საქმეს იმით, რომ ამზადებს ანალიტიკურ დაიჯესტებს, უმაღლესი საბჭოს თანამდებობის პირებს ყოველკვირეულად აწვდის აფხაზეთის პრობლემატიკასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და ანალიტიკურ მასალას. განსაკუთრებული ყურადღება ამ მასალებში ეთმობა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს. საგაზაფხულო სასესიო პერიოდში განყოფილებას სულ მომზადებული აქვს 179 სტატია და სხვადასხვა სახის ინფორმაცია. მე პირადად რეგულარულად ვეცნობი ამ სტატიებს და ინფორმაციებს. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ მათი ხარისხი სულ უფრო და უფრო უმჯობესდება, რაც მისასალმებელია.

ბევრჯერ გვითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებთ - უმაღლესი საბჭო ვალდებულია იცოდეს ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი, რაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ხდება, რაც ოკუპირებულ ტერიტორიას პირდაპირ თუ ირიბად ეხება; ვალდებული ვართ სათანადო რეაგირება მოვახდინოთ აფხაზეთში მიმდინარე ოკუპაციაზე, მცოცავ ანექსიაზე, ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებზე, სახელმწიფო და კერძო საკუთრების გასხვისების მრავალრიცხოვან ფაქტებზე და ა. შ. გრძელდება ყველა ამ და აფხაზეთთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე ბრიფინგების ჩატარება, რომლებიც საკმაოდ ვრცლად შუქდება ქართულ მედიასივრცეში.

უმაღლესი საბჭოს აპარატში, მოგეხსენებათ, ფუნქციონირებს დევნილებთან, ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური, რომლის ხელმძღვანელმა ნანა კვარაცხელიამ გამონახა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართულ მოსახლეობასთან ურთიერთობის დამყარების ისეთი ფორმა, რომელიც ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა ორივე მხარისთვის. ეს არის ქართულენოვანი დისტანციური სინქრონული და ასინქრონული კლასგარეშე სწავლების სპეციალური პროგრამა. ქ-ნი ნანა წარმატებით ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას. უმაღლესმა საბჭომ 7 ივნისს მოისმინა და მოიწონა სამსახურის უფროსის ანგარიში, ამიტომ ამ საკითხზე ვრცლად არ შევჩერდებით.

დევნილებთან, ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური, როგორც მისი სახელწოდებიდან ჩანს, წარმართავს ასევე უმაღლესი საბჭოს ურთიერთობებს ჩვენი საზოგადოების ყველაზე მოწყვლად ნაწილთან - დევნილ მოსახლეობასთან. ნებისმიერი წარმომადგენლობითი ორგანოს, განსაკუთრებით კი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა საკუთარ ამომრჩევლებთან, ჩვენს შემთხვევაში აფხაზეთიდან დევნილებთან სისტემატური შეხვედრა. დეპუტატების დიდი უმრავლესობის, დაახლოებით 90 პროცენტის, ხოლო აპარატის თანამშრომლთა 100 პროცენტის ნებითა და მათივე ძალისხმევით აქაც გამოინახა ჩვენს თანამოქალაქეებთან შეხვედრების მოწყობის ყველაზე საუკეთესო ფორმა. ეს გახლავთ დევნილთა დასახლებებში ჰუმანიტარული აქციების, ქველმოქმედების პერიოდულად ჩატარება. სხვათა შორის, დღეს, 5 სექტემბერს, მთელს მსოფლიოში ქველმოქმედების დღე აღინიშნება. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2013 წლის 7 მარტს მიღებული გადაწყვეტილებით დედა ტერეზას გარდაცვალების დღე - 5 სექტემბერი - დააწესა ქველმოქმედების, გლობალური სოციალური სოლიდარობის საერთაშორისო დღედ. მისი მიზანია სიღარიბისა და მწვავე ჰუმანიტარული კრიზისების დაძლევაში ხელშეწყობა. უმაღლესმა საბჭომ სწორედ აღნიშნული მიზნით წამოიწყო ჰუმანიტარული აქციები, თუმცა ამ შემთხვევაში არ გვიხელმძღვანელია გაეროს ზემოხსენებული გადაწყვეტილებით - სამწუხაროდ, არც არაფერი ვიცოდით მისი არსებობის შესახებ.

ჰუმანიტარულ აქციაში ჩართული კოლეგებისა და ჩვენი თანამშრომლების მიმართ მსურს გამოვხატო უსაზღვრო მადლიერება და მოგახსენოთ, რომ 2023 წლის საგაზაფხულო სასესიო პერიოდის განმავლობაში ა(ა)იპ-ში „სოციალური სოლიდარობისათვის“ თქვენს მიერ გადარიცხული თანხებით საჩუქრები გადაეცა 981 ოჯახს თბილისში, ქვემო ქართლში, სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონებში, კერძოდ, მარნეულში, ზუგდიდში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში - რუხში, ახალსოფელში, ასევე ზესტაფონში, სამტრედიაში, დიდ ჯიხაიშში, ვანში და ბოლოს -

ხონში, სადაც ამა წლის 27 ივნისს გრანდიოზული ღონისძიება ჩატარდა ხონის მინიციპალიტეტის მერის ბ-ნ ლადო ჯურხაძის, საკრებულოს თავმჯდომარის ბ-ნ ვალერი ბახტაძისა და საკრებულოს წევრის, აფხაზეთიდან დევნილის ბაჩანა ბასილაიას მონაწილეობით. 2020 წლიდან, როდესაც ეს კეთილშობილური აქცია წამოვიწყეთ, უკვე 5 ათასამდე ოჯახს, ანუ დაახლოებით 20 ათასამდე ადამიანს დავეხმარეთ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. ქველმოქმედების მიზნით დახარჯულმა თანხებმა 229 ათას ლარზე მეტი შეადგინა. კოლეგები, რომლებსაც სხვადასხვა დროს მიუღიათ უშუალო მონაწილეობა დევნილებთან შეხვედრებში და ჰუმანიტარულ აქციებში - ბატონები თამაზ ხუბუა, ვახტანგ ყოლბაია, ნუგზარ მგალობლიშვილი, თეიმურაზ მჟავია, ჯემალ საჯაია, მურმან კვარაცხელია, ზურაბ ჯგუბურია, ქ-ნი რაისა ქარაია და სხვები, ალბათ, დაგვეთანხმებიან, რომ ყოველი შეხვედრა ტარდებოდა უაღრესად თბილ, მეგობრულ და საქმიან გარემოში, სადაც ვსაუბრობდით აფხაზეთზე, მასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ საკითხებზე, აგრეთვე ამა თუ იმ დასახლებაში არსებულ ყოფით და დევნილებისთვის მნიშვნელოვან სხვა პრობლემებზე. ყოფითი პრობლემების გარკვეული ნაწილი, ძალიან ხშირად ადგილზევე წყდება შესაბამისი მუნიციპალიტეტების მიერ, რომელთა ხელმძღვანელები, როგორც წესი, ესწრებიან ჩვენს ჰუმანიტარულ აქციებს.
ძალიან გაამართლა ბოლო პერიოდში დამკვიდრებულმა პრაქტიკამ, როდესაც ამა თუ იმ დასახლებაში მცხოვრებ ჩვენს წარმატებულ თანამემამულეებს - ვეტერანებს, პედაგოგებს, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს, სპორტსმენებს, გამორჩეულ მოსწავლეებსა და სტუდენტებს სასაჩუქრე ყუთებთან ერთად გადაეცემათ უმაღლესი საბჭოს ჯილდოები - „საპატიო სიგელები“, „მადლობის სიგელები“ და „წარმატებულის სიგელები“. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჯილდოები, რომლებსაც გავცემთ დევნილებთან შეხვედრებისა და ჰუმანიტარული აქციების დროს, იმ სასაჩუქრე ყუთებზე არანაკლებ ღირებულია ჩვენი თანამემამულეებისთვის. ხშირად უმაღლესი საბჭოს სიგელები გადაეცემათ ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტების იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ დევნილების მიმართ. ეს შესანიშნავი პრაქტიკა - პერიოდული შეხვედრები ჩვენს თანამემამულეებთან საქველმოქმედო აქციების თანხლებით, დამსახურებული ადამიანებისთვის უმაღლესი საბჭოს ჯილდოების გადაცემით - მომავალშიც უეჭველად გაგრძელდება ისევ და ისევ თქვენი ნებითა და თანადგომით, პატივცემულო კოლეგებო და აპარატის თანამშრომლებო.

რეგიონებში უშუალო შეხვედრების გარდა, როგორც თქვენთვის ცნობილია, გვაქვს აგრეთვე დევნილ მოსახლეობასთან კომუნიკაციის სხვა ფორმაც და საშუალებაც - ეს არის „ცხელი ხაზი“, რომელსაც ბატონი გურამ მაღლაკელიძე ხელმძღვანელობს. საგაზაფხულო სასესიო პერიოდის განმავლობაში „ცხელ ხაზზე“ შემოსულია 530-მდე

შეტყობინება. როგორც წინა წლებში, ამჯერადაც შეტყობინებების მეტი ნაწილი ეხება საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებასთან, მიწის ნაკვეთის დაკანონებასთან, ერთჯერადი მატერიალური დახმარების აღმოჩენასთან, უმაღლესი საბჭოდან პროდუქტების მიღებასთან, სამედიცინო მომსახურების დაფინანსებასთან, სწავლის ქირის გადახდასთან, ომის ვეტერანის სტატუსის მინიჭებასთან, სასამართლოში სარჩელის შეტანასთან და სხვა პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს. „ცხელი ხაზი“ არა მხოლოდ იღებს ასეთ შეტყობინებებს, არამედ ოპერატიულად ახდენს მათზე რეაგირებას უშუალოდ ან აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე დევნილთა ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს რეგიონალური სამსახურების ჩართულობით. დევნილთა შეტყობინებებზე და საჩივრებზე ჩვენი მხრიდან ადექვატური რეაგირების აუცილებლობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, ხშირ შემთხვევაში თავმჯდომარის პირველი მოადგილის ბ-ნ თამაზ ხუბუას ხელმძღვანელობით ხორციელდება კოორდინაცია აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებთან, განსაკუთრებით იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროსთან, რომლსაც ეხება დევნილთა შეტყობინებებისა და საჩივრების ძირითადი ნაწილი.

ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ, რომ დაგვიანებით, მაგრამ მაინც 2023 წლის დასაწყისში გადავედით ელექტრონულ საქმისწარმოებაზე, რაც უმაღლესი საბჭოს აპარატის დამსახურება გახლავთ. თანამშრომელთა უმრავლესობა დაუფლებულია თანამედროვე ტექნოლოგიებს. ამის გარეშე დღეს არა თუ საჯარო მოხელე, უბრალო გლეხიც კი სათანადოდ ვერ შეასრულებს თავის სამუშაოს. ამავე დროს თანამშრომელთა ნაწილი, სამწუხაროდ, შორსაა ამ ტექნოლოგიებისაგან, დადის კაბინეტიდან კაბინეტში, რომ ვინმეს სთხოვოს დახმარება ფოსტის მიღებაში თუ გაგზავნაში. ვითარება რომ გამოსწორდეს, ამიერიდან თანამშრომელთა შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი იქნება, თუ რამდენად ფლობს ის თანამედროვე ტექნოლოგიებს. საჭიროების შემთხვევაში, დევნილებთან, ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს დაევალება ტრენინგების ორგანიზება. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსმა უნდა დაგეგმოს სხვა აუცილებელი ღონისძიებებიც, რათა ეს პრობლემა საბოლოოდ მოიხსნას დღის წესრიგიდან. მისასალმებელია, ცალკეული თანამშრომლების მონაწილეობა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებას და კარიერულ წინსვლას.

ახალ სასესიო პერიოდში გაგრძელდება მუშაობა ჩვენი საქმიანობის ყველა ძირითადი მიმართულებით. გარდა ამისა, ძალიან მალე, როგორც უკვე მოგახსენეთ,

ჩასატარებელი გვაქვს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან ერთად; 29 სექტემბრისთვის მოსამზადებელია მოხსენება და დადგენილების პროექტი აფხაზეთში ომის შედეგების შესახებ; აფხაზეთის მომავალი კონსტიტუციის პროექტზე დაწყებული მუშაობის გააქტიურების მიზნით, ახალ სასესიო პერიოდში სპეციალისტთა მონაწილეობით განხორციელდება სამუშაო ვიზიტები ევროპის სამ ქვეყანაში, სადაც გავეცნობით ავტონომიური წარმონაქმნების პოლიტიკურ-სამართლებრივ სტატუსს და მასთან დაკავშირებულ კანონმდებლობას; დასასრულებელია მუშაობა აფხაზეთის სიმბოლიკაზე; უნდა მივაღწიოთ პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტების განხილვის პროცედურის დაწყებას და, რაც მთავარია, მათ დამტკიცებას; გაგრძელდება მუშაობა ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა დევნილთა უძრავი ქონების, კერძო საკუთრების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის პრობლემა; ოკუპირებულ ტერიტორიაზე ბოლო პერიოდში დაწყებულია ჩვენი საკუთრების გასხვისების პროცესი, რამაც აღნიშნულ პრობლემას განსაკუთრებული აქტუალობა შესძინა.

კიდევ ერთი საკითხი - 2024 წელს სრულდება 200 წელი გამოჩენილი სასულიერო მოღვაწის, პედაგოგისა და ქველმოქმედის, 1861-1869 წლებში აფხაზეთის ეპისკოპოსის, ქართული ეკლესიის წმინდანის, აფხაზეთის „მეორე მოციქულად“ წოდებული წმინდა მღვდელმთავარ ალექსანდრეს (ოქროპირიძე) დაბადებიდან. აფხაზურ საზოგადოებასთან შერიგებისა და ნდობის აღდგენის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია აფხაზი ხალხის წინაშე მისი უდიდესი ღვაწლის წარმოჩენა. ამ მიზნით, 2024 წლისთვის უნდა დაიგეგმოს სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება და შესაბამისი მასალების გამოქვეყნება, რომელთა ასლები, ჩვენი თხოვნით, საქართველოს ცენტრალურმა საისტორიო არქივმა უსასყიდლოდ უკვე გადმოგვცა.
იმედს გამოვთქვამთ, რომ უმაღლესი საბჭო ყველაფერს იღონებს მის წინაშე მდგარი ამოცანების შესასრულებლად. გილოცავთ 2023 წლის საშემოდგომო სასესიო პერიოდის გახსნას, რომელიც ჩვენი საერთო ძალისხმევით აუცილებლად იქნება წარმატებული.

გმადლობთ ყურადღებისათვის.
2023 წლის 5 სექტემბერი.